



შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას სპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე

სკოლის შესახებ:

ევროპული სკოლა არის საერთაშორისო CIS აკრედიტებული სკოლა, რომელიც სთავაზობს თავის მოსწავლეებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს - საბავშვო ბაღი, ქართული პროგრამა, IB (PYP / MYP / DP) და ამერიკული უმაღლესი სკოლა.

პოზიციის მიზანი:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მისი ან მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესების და სხვადასხვა უნარების განვითარების მიზნით

ფუნქცია-მოვალეობები:

- სსსმ მოსწავლეების იდენტიფიცირება სკოლაში და შეფასება
- სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობების დაგეგმვა და განხორციელება
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი
- მშობლის და მასწავლებლის მხარდაჭერა
- საჭიროების შემთხვევაში ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება მასწავლებლებთან და მშობლებთან
- სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური მხარდაჭერა საგაკვეთილო პროცესში (საჭიროების შემთხვევაში)
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მისი ან მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესების და სხვადასხვა უნარების განვითარების მიზნით
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება

- ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიის მიმართულებით;
- სასურველია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლების სპეციალიზებული პროგრამა/ინკლუზიური სწავლების პროგრამა (120 საათიანი ტრენინგი) ან უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა

გამოცდილება

- სასურველია 1 წლიანი მუშაობის გამოცდილება ფსიქოლოგიური მიმართულებით.

ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები:

- ბავშვის უფლებათა კონვენცია;



- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- ფსიქოლოგის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სწავლების სტრატეგიები;
- სკოლამდელ და სასკოლო ასაკში სწავლებისა და განვითარების სტანდარტები;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- სასურველია სხვა უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერული პროგრამები:

- Microsoft Office (word, power point)

პიროვნული თვისებები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელურობა;
- კეთილგანწყობილობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;

სამუშაო პირობები:

სამუშაო დრო: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00-17:00, შესვენება 1 საათი სამუშაო ადგილი: ქ. თბილისი, ირ. სხირტლადის #2

დაინტერესების შემთხვევაში, გამოგზავნეთ თქვენი CV ელ. ფოსტის მისამართზე:

vacancy@europeanschool.ge

2022 წლის 10 მაისამდე

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის“ ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.